

„ჩვენი სკოლის დაარსების მიზანია – გავუზარდოთ ქვეყანას ქრისტეს მხედრობა!“

„ჩვენი სკოლის მიღწევები საინტერესო აღმოჩნდა განათლების სფეროში მოღვაწე მსოფლიო საზოგადოებისთვის და ჩვენ მათ საკუთარი გამოცდილება გავუზიარეთ“

ინტერვიუ საპატრიარქოსთან არსებული

სენაკის წმ. ალექსი შუშანიას სახ. მართლმადიდებლური

სკოლა-გიმნაზიის დირექტორთან, ქალბატონ ნინო ჯანჯღავასთან

საპატრიარქოსთან არსებულმა სენაკის წმ. ალექსი შუშანიას სახ. მართლმადიდებლურმა სკოლა-გიმნაზიამ მონაწილეობა მიიღო პროექტში „განათლების მსოფლიო კვირეული“ და დიდი გამარჯვება მოიპოვა. იგი მსოფლიოს ას საუკეთესო სკოლას შორის დასახელდა.

„განათლების მსოფლიო კვირეული“ ყოველწლიურად ტარდება პროექტ „გლობალური განათლების ფორუმის“ ფარგლებში. ამ პროექტს ახორციელებს ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია T4-ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგას განათლების სფეროში მსოფლიო მასშტაბით ცნობილი პიროვნება და მრავალი საგანმანათლებლო პროექტის ავტორი, ბატონი ვიკას პოტა.

ამ დიდი წარმატების თაობაზე ვესაუბრეთ სენაკის წმ. ალექსი შუშანიას სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნინო ჯანჯღავას.

– ქალბატონო ნინო, როგორც ვიცით, „განათლების მსოფლიო კვირეულის“ პროექტში თქვენი სკოლა მსოფლიოს ას საუკეთესო სკოლას შორის დასახელდა. გულითადად გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას და შემდგომ წარმატებებს გისურვებთ!

გვიამბეთ განათლების მსოფლიო კვირეულის პროექტის შესახებ. რა ფორმატით ტარდება ის? როგორ გააგზავნეთ განაცხადი და რა მონაწილეობა მიიღეთ პროექტში? ასევე საინტერესოა, მონაწილეობდა თუ არა აღნიშნულ კვირეულში რომელიმე სხვა სკოლა საქართველოდან?



– ახალი სასწავლო წელი ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო ინფორმაციით დაიწყო. ჩვენი სკოლის ამ გამარჯვების შესახებ ამბავი უკვე ცნობილი იყო, მაგრამ აღნიშნული საერთაშორისო პროექტის ორგანიზატორების მხრიდან იყო მოთხოვნა, რომ არ გაგვესაჯაროებინა, ვიდრე თვითონ არ გამოაცხადებდნენ.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ პროექტს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენმა სკოლამ: განათლების მსოფლიო კვირეულს მსოფლიო მასშტაბით ყოველწლიურად ატარებს „გლობალური განათლების ფორუმი“. ესაა ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „T4-ჯგუფი“, რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი ვიკას პოტა. მასში

მონაწილეობას იღებენ სკოლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რომელთაც თავისი საქმიანობიდან გამომდინარე საინტერესო სიახლე აქვთ გასაზიარებელი ფართო საზოგადოებისთვის – თუ რა კარგი ინიციატივა დაინერგა მათთან. ასე უზიარებენ ერთმანეთს თავის გამოცდილებას სხვადასხვა ქვეყნიდან წარმოდგენილი სკოლები.

შარშან ზემოხსენებულ ფორუმში მონაწილეობა მიიღო საჩხერის №2 საჯარო სკოლამ. ამ სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი, მარია ტყემალაძე, დასახელდა საუკეთესო მასწავლებელთა ათეულში. ეს ქალბატონი ასევე არის ამ ორგანიზაციის ელჩი საქართველოში. წელს სწორედ მან წარგვადგინა ჩვენ, როგორც სკოლა, რომელსაც შეეძლო გაეზიარებინა თავისი საინტერესო გამოცდილება. წელს ამ საერთაშორისო ფორუმში საქართველოდან, ჩვენს გარდა, კიდევ ორი სკოლა იღებდა მონაწილეობას.

კვირეულში მონაწილეობის განაცხადის გასაგზავნად შევავსეთ შესაბამისი აპლიკაცია. აპლიკაციაში დაწვრილებით აღვწერეთ ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც ჩვენი სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს, რაც შემდეგ ჩვენს პრეზენტაციაში აისახა.

ჩვენი მუშაობა და სკოლის მიღწევები საინტერესო აღმოჩნდა განათლების სფეროში მოღვაწე მსოფლიო საზოგადოებისთვის და მათ მიიჩნიეს, რომ შეგვიძლია საკუთარი გამოცდილება გავუზიაროთ სხვა სკოლებს.

– *ქალბატონო ნინო, რა სიახლეებია დანერგილი თქვენი სკოლის საქმიანობაში, რითაც დაინტერესდნენ მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში? რა თემები აისახა თქვენ მიერ წარდგენილ პროზენტაციაში? და ასევე საინტერესოა, იყო თუ არა აქცენტირებული სკოლის კონფესიურობა?*



ჩვენი პრიორიტეტული მიმართულებებია: ინგლისური ენის გამლიერებული სწავლება, არაფორმალური განათლება (კერძოდ, ეკოკლუბი) და STEM¹ მიმართულება. აპლიკაციის შევსებისას დაწვრილებით აღწერეთ ის აქტივობები, რომელიც სკოლამ განახორციელა და რა შედეგებსაც მიაღწია.

¹ **STEM (Science, Technology, Engineering, Mathematics)** – განათლება არის მოდელი, რომელიც თავის თავში აერთიანებს საბუნებისმეტყველო და საინჟინრო საგნებს ერთ სისტემაში. იგი ეფუძნება განათლებაში ინტეგრირებულ მიდგომას: ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია და მათემატიკა ისწავლება არა ცალ-ცალკე, არამედ ერთმანეთთან კავშირში, რეალური ტექნოლოგიური ამოცანების გადასაჭრელად. ამგვარი მიდგომა გვაჩვენებს პრობლემების მთლიანობაში აღქმას და არა მეცნიერების ან ტექნოლოგიის მხოლოდ ერთი კონკრეტული დარგის კონტექსტში. STEM, ან იგივე STEAM (ზოგჯერ აბრევიატურაში ემატება Art - ხელოვნება).

მსოფლიო აუდიტორიის წინაშე წარვდექით ერთსაათიანი პროგრამით, რომელიც რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა. პრეზენტაციის მოდერატორი გახლდათ სკოლა-გიმნაზიის ინგლისური ენის პედაგოგი, „საუკეთესო ინგლისური ენის მასწავლებლის“ კონკურსის ფინალისტი და არაფორმალური განათლების კლუბის ხელმძღვანელი სკოლა-გიმნაზიაში, თამარ ყალიჩავა.

პრეზენტაცია, რომელიც 5 ოქტომბერს ჩატარდა, საქართველოსა და ჩვენი სკოლის წარდგენით დაიწყო. ხაზი გაესვა სასწავლებლის კონფესიურობას და მის ღირებულებებს. აქვე მოკლედ იყო გადმოცემული ის თანმიმდევრული ნაბიჯები, რომელიც სკოლამ განვითარებისთვის განახორციელა. არაფორმალურ განათლებასა და აქტივობებზე ისაუბრეს ეკოკლუბის ხელმძღვანელმა, ისტორიის პედაგოგმა, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტმა, ნათია დავითაიამ და მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ, ნიკო კეცხოველის სასკოლო კონკურსის საუკეთესო სპიკერმა, ანა შამათავამ. STEM მიმართულება წარადგინეს ისტ-ის პედაგოგმა, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტმა, „საუკეთესო ისტ-ის მასწავლებლის“ კონკურსში გამარჯვებულმა, უტა კილასონიამ და მეთორმეტე კლასის მოსწავლემ, „ათასწლეულის ინოვაციისა“ და „ლეონარდო და ვინჩის ნორჩ გამომგონებელთა“ კონკურსებში გამარჯვებულმა, გიგი გუგუნავამ. აღსანიშნავია, რომ პრეზენტაცია ჩვენს მოსწავლეებსაც ასევე ინგლისურ ენაზე მიჰყავდათ.

არაფორმალური განათლების ფარგლებში ჩვენს სკოლაში არაერთი კლუბი ფუნქციონირებს. სკოლის მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციითა და English Book Education²-ის დახმარებით მოხდა ინგლისური ენის პედაგოგების პროფესიული გადამზადება, სახელმძღვანელოებითა და სასწავლო მეთოდური რესურსებით უზრუნველყოფა.

რადგანაც ჩვენი სკოლა-გიმნაზია კონფესიური სასწავლებელია, უპირატესობა ენიჭება ქრისტიანულ ღირებულებებს. განხორციელებული სოციალური პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეების ჩამოყალიბებას თავიანთი ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებად. სკოლა-გიმნაზიაში ფუნქციონირებს მშობელთა სათათბირო, რომელიც წარმოადგენს აქტიურ რგოლს ამ პროექტების განხორციელებაში.

² English Book Education – TOEFL ტესტის ექსკლუზიური წარმომადგენელი ამიერკავკასიაში.

გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ მხოლოდ საკლასო ოთახში მიღებული აკადემიური განათლება არ არის საკმარისი ყველა იმ უნარ-ჩვევის შესაძენად, რაც მოსწავლეს სჭირდება ყოველდღიურ ცხოვრებაში და მომავალი პროფესიის არჩევსას. სწორედ ამ მიზნით, მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართულობით, ეტაპობრივად იქმნებოდა არაფორმალური განათლების სხვადასხვა კლუბები. ამჟამად სკოლა-გიმნაზიაში ფუნქციონირებს ინგლისურენოვანი ლიტერატურის კლუბი, დებატების კლუბი, ინტელექტუალური კლუბი „რა? სად? როდის?“, თეატრალური კლუბი და ეკო კლუბი, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში.



სასკოლო კვლევებმა აჩვენა, რომ საბუნებისმეტყველო საგნებისადმი მოსწავლეთა დაინტერესება ნაკლები იყო. დავიწყეთ ფიქრი, როგორ დაგვეგეგმა სასწავლო პროცესი, ისე, რომ ბავშვებისთვის ამ საგნების სწავლება თვალსაჩინო და სახალისო ყოფილიყო. გაჩნდა იდეა, დაგვენერგა STEM განათლება სკოლა-გიმნაზიაში. საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტის ვირტუალური მოდელირების ცენტრთან თანამშრომლობით და ბატონ დავით სონღულაშვილის მენტორობით, სასწავლო პროცესში დავნერგეთ ვირტუალური და რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიები რაც დადებითად აისახა სწავლა-სწავლების შედეგებზე. ამჟამად სკოლა-გიმნაზიაში STEM მიმართულება პრიორიტეტულია. გაჩნდა ბევრი საინტერესო იდეა და შეიქმნა ინოვაციური პროექტები, რომლებმაც არაერთ კონკურსში მოიპოვეს აღიარება.

განხორციელებულმა ნაბიჯებმა შედეგად მოგვცა ის, რომ დღეს უფროსკლასელები მაღალ დონეზე ფლობენ უცხო ენას. სკოლა-გიმნაზიაში განხორციელებულმა არაფორმალური განათლების აქტივობებმა მოგვცა იმის საშუალება, რომ ჩვენი მოსწავლეები უკვე ჩართულები არიან საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში: SIQA-სა და Pro-active group Georgia-სთან თანამშრომლობით ჩვენი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ „Erasmus +“-ის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, რითაც ინტეგრირდებიან საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და სხვადასხვა ქვეყნის თანატოლებთან ერთად მონაწილეობენ საერთაშორისო პროექტებში.

ვფიქრობ, რომ არაფორმალურ განათლებაში ჩართვით, ჩვენ ვაძლევთ მოსწავლეებს იმ უნარებს, რაც მათ სჭირდებათ ყოფა-ცხოვრებაში, ხოლო STEM განათლების წახალისებით, კი ვცდილობთ გავზარდოთ არა მხოლოდ მომხმარებლები, არამედ შემქმნელები, მომავალი მეცნიერები და გამომგონებლები, რომლებიც შეცვლიან საკუთარი ქვეყანის მომავალს. იმედი გვაქვს, ჩვენი სკოლა-გიმნაზიის გამოცდილების გაზიარება სარგებელს მოუტანს სხვა სკოლებსა და ორგანიზაციებს და ისინი თავად ეცდებიან გახდნენ უფრო წარმატებულები.

მოსწავლეებში განსაკუთრებული პოპულარობით მაინც STEM ინოვაციების ჯგუფი სარგებლოს. სწორედ ამ კლუბის წევრები იმყოფებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოში.

აი, ეს გამოცდილება გავუზიარეთ ჩვენს უცხოელ კოლეგებს და მათთვის ყველა ეს საკითხი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა.

– *მეტად სასიხარულოა, რომ თავისი არსებობის მოკლე ხანში, სენაკის სკოლამ ამდენ წარმატებას მიაღწია. რამდენი წელია, რაც სენაკის წმინდა ალექსი შუშანიას სკოლა-*

გიმნაზია არსებობს? გთხოვთ, ორიოდ სიტყვით გვიამბოთ სკოლის პირველ ნაბიჯებზე, როგორ იწყებდით? და, თქვენი აზრით, რამ განაპირობა ამ მოკლე დროში წმინდა ალექსი შუშანიას სკოლის ასეთი წარმატება?

– როგორც მოგეხსენებათ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოსთან არსებული სკოლები საქართველოს ყველა კუთხეში დაფუძნდა. სენაკში მართლმადიდებლური სკოლა ჩვენი მმართველი მღვდელმთავრის, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს ძალისხმევით დაარსდა 2010 წელს. შენობა სკოლას ბიზნესმენმა, ბატონმა ლევან ვასაძემ გადასცა. დღეს უკვე გვაქვს ჩვენი კარის ეკლესიაც – სკოლის ეზოში მოქმედებს წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის ტაძარი, რომელიც ადგილობრივი ბიზნესმენის, ბატონ თემურ გადელიას შემოწირულობით აშენდა.

თავდაპირველად ჩვენი სკოლა ძალიან პატარა იყო – სულ 54 მოსწავლეს ითვლიდა. იმთავითვე სწორად დაიგეგმა სკოლის მმართველობა, ანუ ის სტრუქტურული რგოლები, რომელთაც მომავალში უნდა ემართა სკოლა. პირველი ნაბიჯი, რაც მეუფე შიომ ამ მიმართულებით გადადგა, ეს იყო ის, რომ მან შექმნა მრჩეველთა საბჭო, რომელსაც სათავეში უდგას ქალბატონი თამარ მეიფარიანი. მრჩეველთა საბჭოს მოვალეობებში შედის ზედამხედველობა და რეკომენდაციები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, ასევე მუდმივი ზრუნვა ხარისხის განვითარებაზე და ორიენტირება სიახლეებზე. მრჩეველთა საბჭოს კომპეტენციაში შედის ასევე სკოლისთვის კადრების შერჩევაც. ჩვენს სკოლაში ყველა (ჩემი ჩათვლით) მიღებულია კონკურსის წესით. სწორედ ამგვარმა მმართველობამ შექმნა საშუალება იმისა, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, გეგმაზომიერად მივსულიყავით სკოლის განვითარების დღეისათვის არსებულ დონემდე.

ამგვარად, ჩვენი სკოლის ეს წარმატება მნიშვნელოვან წილად განაპირობა ჩვენი რექტორის, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს სრულმა მხარდაჭერამ, სასწავლო პროცესის სწორად წარმართვამ და სიახლეების დანერგვამ.

ჩვენს საყვარელ მეუფეს არაერთხელ უთქვამს, რომ ჩვენი სკოლის დაარსების მიზანია – გავუზარდოთ ქვეყანას ქრისტეს მხედრობა, გავუზარდოთ ქვეყანას ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც თავიანთი სარწმუნოების და ქვეყნის გულშემატკივრები და დამცველები იქნებიან. იმედია, ღვთის შეწევნით, ამას შევძლებთ.

ასე რომ, მინდა კიდევ ერთხელ მივულოცო ჩვენს მეუფე შიოს სკოლის ასეთი წარმატება! ეს წარმატება ასევე მინდა მივულოცო ჩვენი სკოლის პედაგოგიკტივისა და მოსწავლეებს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი აღსაზრდელები მომავალში არაერთხელ ასახელებენ როგორც მშობლიურ სკოლას, ასევე ჩვენს ქვეყანას, ისინი ხომ ძალიან კარგი ახალგაზრდები არიან.

– გთხოვთ, მოგვითხროთ სკოლის დღევანდელ მდგომარეობაზე, რამდენი მოსწავლე სწავლობს ამჟამად? რა სამომავლო გეგმები გაქვთ? და რამდენად ახერხებს მეუფე შიო, მოუცლევლობის გამო (რადგან დღეს იგი საპატრიარქო ტახტის მოსაყდრეა), ყურადღება დაუთმოს სკოლას?

– მიუხედავად იმისა, რომ ახლა მეუფე შიო ფიზიკურად სკოლიდან შორსაა და ძალიან დაკავებულია საპატრიარქოში თავისი სტატუსის გამო, ჩვენ მაინც ყოველდღიურად ვგრძნობთ მის მუდმივ მზრუნველობას და მხარდაჭერას, რაც ჩვენს მუშაობაზე სასიკეთოდ აისახება. ყველაფერი, რასაც ჩვენს სკოლაში იხილავთ, მეუფის უშუალო ჩართულობით კეთდება, მას ყველაფერი აინტერესებს, მუდმივი კომუნიკაცია გვაქვს.

ამჟამად სკოლა-გიმნაზიაში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სულ 451 მოსწავლე სწავლობს. მიმდინარე წელს პირველად გვყავს კურსდამთავრებულები: სასწავლებელი 17 მოსწავლემ დაამთავრა მათგან 16 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა, ერთმა კი პროფესიული განათლება აირჩია. ჩვენმა კურსდამთავრებულებმა 50-70%-იან დაფინანსება მოიპოვეს ისეთ უნივერსიტეტებში, როგორცაა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის, „თავისუფალ“, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტებში, სამხატვრო აკადემიასა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ჩვენი სამომავლო გეგმებია – არაფორმალური განათლების გაძლიერება სკოლაში. კერძოდ, ახალგაზრდული სივრცისა და საზაფხულო ბანაკის მოწყობა. მართალია, ბანაკის მოწყობა გრძელვადიანი პროექტია, მაგრამ საერთო ძალისხმევით აუცილებლად შევძლებთ. მეუფე შიოს ძალისხმევით საპატრიარქომ გადმოგვცა სოფელ ნოქალაქევში, გახომელას რვაწლიანი სკოლის ტერიტორია. ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილია, გამომდინარე იქიდან, რომ ნოქალაქევი ქალაქ-მუზეუმი და ჩვენი ტერიტორიაც ბანაკისთვის არის შეუცვლელი, სადაც შეიძლება მრავალი

საგანმანათლებლო, კულტურული თუ სპორტული აქტივობის განხორციელება. ახალგაზრდული სივრცისთვის კი ფართიც გვაქვს და პროექტც მზად არის. ახლა მთავარია პანდემიამ არ შეგვიშალოს ხელი ჩვენი გეგმების განხორციელებაში.

– დაბოლოს, როგორ გართვით თავი ონლაინ სწავლებას პანდემიის პირობებში? რა ახალი გამოცდილება შეიძინეთ ამ მხრივ და რამდენად წარმატებული იყო დისტანციური სწავლება თავისი შედეგებით?

– პანდემიით გამოწვეულმა მდგომარეობამ არა მარტო ჩვენი, არამედ მსოფლიოს ცხოვრების სტილი შეცვალა და ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა. საჭირო გახდა სასწავლო პროცესის გადატანა რეალური საკლასო ოთახიდან ვირტუალურ საკლასო სივრცეში. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა რთული აღმოჩნდა; პრობლემები შეექმნათ როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს. ჩვენი მოსწავლეების უმრავლესობა საშუალო სოციალურ ფენას მიეკუთვნება, გვყავს მოსწავლეები მრავალშვილიანი ოჯახებიდან, რომლებიც განიცდიდნენ ტექნიკური საშუალებების ნაკლებობას. რათა არცერთი მოსწავლე არ დარჩენილიყო სასწავლო პროცესის მიღმა, მათ დროებით სარგებლობაში გადავეცით სკოლა-გიმნაზიის კუთვნილი კომპიუტერები, მასწავლებლებს კი გავუწიეთ მხარდაჭერა ტრენინგებით, იმ პლატფორმის ასათვისებლად, რომელზედაც გადავიტანეთ სასწავლო პროცესი. თანდათანობით ვირტუალურ გარემოში გადავიტანეთ ის აქტივობები, რომელსაც რეალურად ვატარებდით.

გუშინ კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია შევიტყვეთ. ჩვენი სკოლის X კლასის მოსწავლეებმა: საბა ხაბურზანიამ და ანი ესართიამ გაიმარჯვეს „გამომგონებელთა და მკვლევართა ლეონარდო და ვინჩის“ კონკურსში და პირველი ადგილი დაიკავეს. ეს იყო ერთობლივი პროექტი „თერმული წყლები“, რომელიც ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლა „პროგრესთან“ ერთად განხორციელდა. კვლევა პროექტის ფარგლებში ელექტროენერჯის მიღების ალტერნატიულ გზებს მიემდვნა. კონკურსის წარმატებულ მონაწილეებს სპეციალური პრიზები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

– გულითადად ვულოცავთ სენაკის სკოლას მსოფლიო განათლების კვირეულსა და სხვა ფორუმებსა თუ კონკურსებში გამარჯვებას!

ვფიქრობთ, მისასალმებელი და მისაბაძია საპატრიარქოს სკოლების მონაწილეობა

მსგავს პროექტებში, რაც არა მარტო წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას საგანმანათლებლო სივრცის მსოფლიო ასპარეზზე, არამედ ასევე ხელს შეუწყობს ჩვენს სკოლებს საკუთარი მიღწევების წარმოჩენასა და ახალი გამოცდილების შეძენაში.

ქალბატონო ნინო, გისურვებთ შემდგომ წარმატებებს თქვენს მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობაში და გვჯერა, რომ მომავალში კიდევ არაერთხელ გაგვახარებთ თქვენი ახალი მიღწევებით!

ესაუბრა მარიამ გაგუა